

ფილტრაციული პროცესები სიონის წყალსაცავის კაშხლისა და მიმდებარე ტერიტორიებზე

გურამ ქუთელია, ნარგიზა აბუთიძე, ნონა ლურსმანაშვილი, ელენე გოდერძიშვილი

ელ-ფოსტა: guram.kutelia@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

კვლევის მიზანი იყო ძიების გეოფიზიკური მეთოდებით, კერძოდ, ძიების ელექტრული მეთოდებით, ფილტრაციული პროცესების შესწავლა სიონის წყალსაცავის კაშხლისა და მიმდებარე ტერიტორიებზე.

კაშხლის ტერიტორიაზე ბუნებრივი ელექტრული ველის მშვიდი განაწილება მიუთითებს, რომ წყალსაცავის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირას წყლის დონის მინიმალური ნიშნულის დროს ფილტრაციას პრაქტიკულად ადგილი არ აქვს. რაც შეეხება მარჯვენა ნაპირზე არსებულ ელექტრული ველის ანომალიას, ის ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს შემოვლითი ფილტრაციით, ანუ მდ. იორის ძველი კალაპოტის ფილტრატებით.